ზემო ფონიჭალაში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის ტერიტორიაზე არსებული დახურული საცურაო აუზის შენობის რეკონსტრუქცია

განმარტებითი ბარათი

ზემო ფონიჭალაში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის ტერიტორიაზე არსებული დახურული საცურაო აუზის შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამუშავდა საკონკურსო წინადადებაში მოცემული ტექნიკური დავალების შესაბამისად.

საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად, საკონკურსო წინადადებასთან თანდართული დანართების გათვალისწინებით, შესრულდა შემდეგი სამუშაო:

- სარეკონსტრუქციო დახურული საცურაო აუზის შენობის 3D ვიზუალიზაცია და არქიტექტურული გეგმები ფუნქციური ტექნიკური დავალების გათვალისწინებით
- განმარტებითი ბარათი, სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობების არქიტექტურული და კონსტრუქციული მოსაზრებებისა და გადაწყვეტილებების შესახებ, სადაც გათვალისწინებულ იქნა კირიაზ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრის მიერ გაცემული დასკვნა.

არსებული დახურული აუზის შენობის სარეკონსტრუქციო პროექტი შესრულდება სამშენებლო ნორმების შესაბამისად და ტექნიკური დავალების გათვალისწინებით.

ერთეული გაფასებები შედგენილ იქნება შესაბამისი კვარტლის დონეზე დამუშავებული „სამშენებლო რესურსების ფასები“-ს კრებულით.

არსებულ პროექტზე შემუშავებული ნებისმიერი დოკუმენტაცია იქნება შემსყიდველი ორგანიზაციის საკუთრება და არ იქნება გამოყენებული სხვა პროექტებზე მუშაობისას.

უნდა აღინიშნოს, რომ პროექტზე მუშაობისას, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნით, გათვალისწინებული იქნება, ყველა შესაძლო ცვლილება.

შემსყიდველ ორგანიზაციას სამუშაოს შესრულების ვადის ამოწურვისას გადაეცემა საკონკურსო წინადადებაში მოთხოვნილი სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დაბეჭდილი ალბომების სახით 5 ეგზემპლიარად და CD ელექტრონული ვერსიის სახით 5 ეგზემპლიარად.

შ.პ.ს. „GM“-ის დირექტორი /ლ. ჩაგანავა/

"GM" LTD 404962144 საქართველო • GEORGIA

არქიტექტურული კონცეფცია

ფონიჭალაში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის ტერიტორიაზე არსებული დახურული საცურაო აუზის შენობის გაბარიტული ზომებია (30X30,5)მ. შენობა ორ სართულიანია. რეკონსტრუქციის შემდეგ შენობაში განთავსდება საცურაო აუზი და სხვა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი.

არქიტექტურული გეგმარება დამუშავდა ფუნქციური ტექნიკური დავალების მიხედვით.

<u>I სართულზე განთავსდა:</u>

- სპორტული ოთახი - 40,8 მ2
- ინსტრუქტორის ოთახი - 17,2 მ2
- ჩოგბურთის მაგიდის ოთახი - 11 მ2
- სამედიცინო მომსახურების ოთახი - 18,3 მ2
- მომსახურე პერსონალის ოთახი - 11,5 მ2
- სათავსო სპეც.ინვენტარისათვის - 11,0 მ2
- მენეჯერის ოთახი - 11 მ2
- საკუჭნაო დამლაგებლისთვის - 6,4 მ2
- სველი წერტილები
- ტექნიკური განყოფილება

<u>II სართულზე:</u>

- საცურაო აუზი - 200 მ2
- საჭიდაო ოთახი - 106,3 მ2
- კრივის ოთახი - 30,2
- სპორტული ოთახი - 83,7 მ2
- სველი წერტილები

ახალი არქიტექტურული გეგმარებისას თითქმის შენარჩუნდა არსებული კაპიტალური კედლები და ტიხრები, მხოლოდ მძლეოსნებისთვის განკუთვნლი სპორტული ოთახის დაგეგმვისას, საჭირო გახდა კაპიტალური კედლის ფრაგმენტის მოხსნა. შუაში გაჩნდა სვეტი მალის შესამცირებლად და კონსტრუქციული

"GM" LTD 404962144 საქართველო

მოსაზრებების გათვალისწინებით. კრივის ოთახს სამხრეთიდან ესაზღვრება დერეფანი, სადაც ფასადის მხრიდან განთავსებულია ვიტრაჟი. ასევე შესაძლებელია კრივის ოთახი განათდეს სახურავიდან ბუნებრივი განათებით.

შენობის ფასადი მოპირკეთებულია ბუნებრივი ქვით და ნაწილობრივ დაფარულია ალუმინის ელენემდებისაგან შემდგარი მსუბუქი კონსტრუქციებით.

კონსტრუქციული კონცეფცია

საკონკურსო წინადადების მიხედვით, უნდა განხორციელდეს, ზემო ფონიჭალაში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის ტერიტორიაზე არსებული დახურული საცურაო აუზის შენობის რეკონსტრუქცია. სატენდერო წინადადებასთან თანდართული ფოტო მასალის დათვალიერების შედეგად ნათელი გახდა, რომ ამჟამად, უსისტემოდ და სამშენებლო წესების დაცვის გარეშე, დაწყებულია, არსებული კედლების ფრაგმენტების დემონტაჟი. იმის გამო, რომ შენობა შესრულებულია კაპიტალური კედლებით, დაუშვებელია მოხდეს შიდა მზიდი კედლების ფრაგმენტების დემონტაჟი შესაბამისი გამაგრება-გაძლიერების გარეშე, რადგან ამ დროს რკბ. წიბოვან ფილები რჩება საყრდენის გარეშე და არის მათი ჩამოშლის საშიშროება. თავდაპირველად, კედელი უნდა გაძლიერდეს ლითონის ელემენტრებისაგან შედგენილი ჩარჩოებით და მხოლოდ არის შემდეგ არის შესაძლებელი კედლის დემონტაჟი. გამაგრება-გაძლიერების შესაბამისი კვანძები და დეტალური აღწერა დამუშავდება პროექტის კონსტუქციულ ნაწილში.

სახურავიდან უნდა მოიხსნას არსებული გადახურვა. გასათვალისწინებელია სახურავის დაზიანების შედეგად და ატმოსფერული ნალექის ზემოქმედებით რკბ წიბოვან ფილაში გაშიშვლებული არმატურის ღეროების კოროზია. ამის აღმოსაფხრელად, გაშიშვლებული არმატურის ღეროები უნდა დამუშავდეს სპეციალური ანტიკოროზიული ხსნარით, რის შემდეგაც განხორციელდება, წნევით ცემენტის ხსნარის ფილაში შეფრქვევა.

ახალი გეგმარებით II სართულზე შენობის მარჯვენა ფლიგელში საჭირო გახდა კაპიტალური კედლის ფრაგმენტის მოხსნა. კედლის ეს მონაკვეთი უნდა შეიცვალოს

"GM" LTD 404962144 საქართველო • GEORGIA

ლითონის ელემენტებისაგან შედგენილი ჩარჩოთი. ყველა კონსტრუქციული გადაწყვეტა დეტალურად იქნება განხილული დამუშავებულ პროექტში.

ლითონის ელემენტებით შენობის გამაგრება-გაძლიერება, გაზრდის შენობის სეისმურობას. პროექტის დამუშავებისას, სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობების ადგილზე ვიზუალური დათვალიერების შემდეგ, კონსტრუქციულ პროექტში შესაძლებელია შეტანილ იქნას, კიდევ, დამატებითი ღონისძიებები შენობის მდგრადობის მისაღწევად.

ძირითადი სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შემდეგ, უკვე შესაძლებელი გახდება სარემონტო სამუშაოების ჩატარება.

შ.პ.ს. „GM"-ის დირექტორი /ლ. ჩაგანავა/